მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო–საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომის

**ო ქ მ ი N11**

ქ. მარტვილი 2022 წლის 22 ნოემბერი

სხდომის დაწყების დრო 14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ზურაბ მელიავა - კომისიის თავმჯდომარე
2. ლევან სურმავა
3. ნათია ბჟალავა
4. ირაკლი დიხამინჯია
5. მიხეილ ნაჭყებია
6. ბექარ კუკანია

**დღის წესრიგი:**

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის თაობაზე. /მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა ზურაბ მელიავამ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ მელიავამ აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია ოპტიმალურად და პასუხობს მარტვილის მუნიციპალიტეტის განვითარების ტენდენციებს და მოსახლეობის მოთხოვნებზეა ორიენტირებული, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი რამ:

1. სპეცტექნიკის მძღოლების სახელფასო ანაზღაურების გაზრდა 1000 ლარამდე;
2. გენდერული თანასწორობის კუთხით 5000 ლარის გათვალისწინება;

3. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩამონათვალის დეტალურად გაშიფვრა.

**აზრი გამოთქვეს:** ლევან სურმავამ, ნათია ბჟალავამ, ირაკლი დიხამინჯიამ.

**გადაწყვიტეს**

სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ მელიავამ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია, მის მიერ წარმოდგენილი შესწორებებით ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერს.

კომისიის თავმჯდომარემ  საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 6

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა – 0

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულია და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე /ზ.მელიავა/

22/11/2022